ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

“ტორპედო" (მოსკოვი) - "დინამო" (თბილისი) - 3:3 (3:3)
14 ივლისი. მოსკოვი. სტადიონი "დინამო". 70 000 მაყურებელი.
მსაჯი ნ. უსოვი (ლენინგრადი).
გოლები: 0-1 ჯეჯელავა (3), 0-2 პაიჭაძე (25), 0-3 პაიჭაძე (26), 1-3 პეტროვი (35), 2-3 პეტროვი (37), პეტროვი (40).
პენალტი ვერ გამოიყენა რიაზანცევმა (29, ძელი)

“ტორპედო": ვინოგრადოვი, პოლიაკოვი, ორლოვი, მასლოვი, კოჩეტკოვი, ერშოვი, კარიჩევი, რიაზანცევი, სინიაკოვი, პეტროვი, სვირიდოვი.

"დინამო": დოროხოვი, შავგულიძე (ჭუმბურიძე), ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი)

(მოსკოვი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გუშინ მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა სსრკ პირველობის გათამაშების ერთ-ერთი საინტერესო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის “ტორპედოს” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

საფეხბურთო მოედანზე მოსკოვის ტორპედო გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. თბილისის “დინამოდან”, დაშავების გამო ვერ თამაშობდნენ: გავაშელი, ჭუმბურიძე და გაგუა.

პირველი ტაიმი დაიწყო თბილისელთა იერიშებით. მესამე წუთზე გარღვევაზე გასული მარჯვენა გარემარბი – ჯეჯელავა ხსნის ანგარიშს. შეტევა გრძელდება. მე-9 წუთზე ბერძენიშვილმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გადიდების შესაძლებლობა. ტორპედოელები აძლიერებენ თამაშს. მე-16 წუთზე დოროხოვმა გადაარჩინა კარი კრიტიკული მომენტისაგან. მე-12 წუთზე ბურთი კვლავ თბილისელთა კარის მოედანზე ტრიალებდა. ერთ-ერთ მეტად საშიშ მდგომარეობიდან შავგულიძემ გამოიყვანა თავისი გუნდი და გადაარჩინა პირველი გოლისაგან. მე-14 წუთზე პაიჭაძე უსხლტება ხელიდან მცველებს და ძლიერი გარტყმით აგზავნის ბურთს მოწინააღმდეგეთა კარის მარჯვენა კუთხისაკენ – “ტორპედოს” მეკარემ სხარტი ნახტომით მოიგერია ის. დინამოელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაში. მე-18 წუთზე ბერეჟნოიმ ახლო მანძილიდან დაკარგა უდავო შესაძლებლობა. მე-23 წუთზე ჯეჯელავას მიწოდებულ ბურთს პაიჭაძე იშვიათი სილამაზით და სიზუსტით გზავნის ტორპედოს კარში – 2:0. მე-26 წუთზე ბერეჟნოი მარჯვენა ფრთიდან უვლის დამცველებს და აწვდის ცენტრში. კვლავ პაიჭაძის ძლიერი შუტი – 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ. “ტორპედოს” თავდამსხმელები ენერგიულად იბრძვიან ანგარიშის გასათანაბრებლად. მე-30 წუთზე მოსკოველი სინიაკოვი საფრთხეში აყენებს თბილისელთა კარს, მის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერიეს დოროხოვმა და შავგულიძემ. სრულიად გაუგებარი მიზეზით მსაჯი უსოვი ნიშნავს პენალტს, მაგრამ ტორპედოელებმა ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა – ბურთი მოხვდა კარის ბოძს. დაშავებული შავგულიძე გადის მინდვრიდან. ამ მდგომარეობამ საგრძნობლად შეამსუბუქა თამაში ტორპედოს თავდამსხმელების სასარგებლოდ. ათი წუთის განმავლობაში “ტორპედოს” მარცხენა ინსაიდს გააქვს 3 ბურთი.

პირველი ტაიმი დამთავრდა – 3:3.

მეორე ნახევარში მიუხედავად მეტად საინტერესო თამაშისა და მრავალი კრიტიკული მომენტების შექმნისა, მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. მატჩი დამთავრდა ფრედ – 3:3.

“მუშა”, 15 ივლისი, 1938 წ.